17/08/2026

MES 6 26 0001053842

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 03.03.2026
სხდომის დაწყების დრო: 11:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 13:40 სთ
სხდომის თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2]-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრ ები:

1. **ლევან შავაძე** – სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო ხოლუაშვილი** – შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** – ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი – საბჭოს მდივანი;
4. **ქეთევან აფთარაშვილი** – შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
5. **პეტრე ბაბილუა** – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
6. **მარიამ ხოფერია** – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. **მარინე რუხაძე** – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. **ვალერიან გობრონიძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო და საგამოცდო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, სსიპ – საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
9. შალვა კელეპტრიშვილი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
10. ლია სანოძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი;
11. ხათუნა ლომაური – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ნეონატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
12. ინგა დიასამიძე – სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. ავთანდილ თავხელიძე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კვლევითი და ტექნოლოგიური ცენტრის „ნანოსტრუქტურები განახლებადი ენერგეტიკისათვის“ (ლაბორატორია) დირექტორი;
14. მაია ბარბაქაძე – სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი;
15. ფრიდონ გოგიაშვილი – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
16. თამარ მერაბიშვილი – შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს პროფესორი;
17. თეა ნარეკლიშვილი – შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;
18. ლევან ციცქიშვილი – სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
19. გიორგი წანაწყენიშვილი – შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
20. ეკატერინე ჭალაგანიძე – შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
21. თამარ ხურცილავა – შპს აიქიუ კლინიკის გენერალური მენეჯერი, შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ასოცირებული პროფესორი;
22. დავით ჯინჭარაძე – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტი:

1. გიორგი თავაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
2. ნანო პაჭკორია - პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტი;
3. დიმიტრი გეგენავა - პრორექტორი;
4. თამარ ქობულაძე - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
5. აკაკი ჭელიძე - უნივერსიტეტის რექტორი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი:

1. არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. გელა ჯავახიშვილი - პროგრამის თანახელმძღვანელი;
3. მარიკა ხომასურიძე - პროგრამის თანახელმძღვანელი;
4. თეონა ლაბარტყავა - მეცნიერების და ტექნოლოგიების სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები

პეტროს პაშიარდისი (Petros Pashiardis) (I საკითხი)
დიანა მჭედლიშვილი (I საკითხი)
რევაზ ტაბატაძე (I საკითხი)
თამთა ლეკიშვილი (I საკითხი)
ზოლტ ზოფი (Zsolt Zsófi) (II საკითხი)
მანუჩარ მესხიძე (II საკითხი)
თინათინ გაბრიჩიძე (II საკითხი)
მარიამ ბურმისტოვა (II საკითხი)

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „შედარებითი და საერთაშორისო განათლების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მევენახეობის და მეღვინეობის" საბაკალავრო და "მევენახეობის და მეღვინეობის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **კი**

ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა მეორე საკითხის 14 აგვისტოს საბჭოზე გადადებასთან დაკავშირებით.

საბჭომ დააკმაოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „შედარებითი და საერთაშორისო განათლების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მევენახეობის და მეღვინეობის" საბაკალავრო და "მევენახეობის და მეღვინეობის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „შედარებითი და საერთაშორისო განათლების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: შედარებითი და საერთაშორისო განათლება
საფეხური: მაგისტრატურა
სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მეცნიერების მაგისტრი
დეტალური სფეროს კოდი: 0111 - განათლების მეცნიერება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა მარიამ ხოფერიამ. აცილების საფუძველი - დაწესებულებასთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან არ არის გასულ ორი წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, პეტროს პაშიარდისმა (Petros Pashiardis) აღნიშნა, რომ „შედარებითი და საერთაშორისო განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც, "მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო დანარჩენ სტანდარტებთან მიმართებით, "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ ცენტრის ახალი რეგულაციის შესაბამისად, დაწესებულებამ წინასწარ გამოგზავნა ცენტრში ინფორმაცია, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რის გაჟღერებასაც აპირებდა ინსტიტუცია საბჭოს სხდომაზე.

დაწესებულების მიერ წერილობით მოწოდებული პოზიცია, რეკომენდაციებთან დაკავშირებით:

"სტანდარტი 1 ქვესტანდარტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი რეკომენდებულია, დაიხვეწოს შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მჭიდრო შესაბამისობა პროგრამის დარგობრივ სპეციფიკასთან, მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. კერძოდ, რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „ინოვაციები და ტექნოლოგიები განათლებაში" ჩანაცვლდეს სასწავლო კურსით „საგანმანათლებლო სისტემები და რეფორმები შედარებით პერსპექტივაში", ასევე პროგრამის სავალდებულო საგნების ბლოკს უნდა დაემატოს სასწავლო კურსი „საერთაშორისო ორგანიზაციები და განათლების მართვა". ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ „სასწავლო კურსში „ინოვაციები და ტექნოლოგიები განათლებაში“ განხილულია მნიშვნელოვანი თემები, თუმცა ის პირდაპირ არ წარმოადგენს შედარებითი და საერთაშორისო განათლების დარგის ძირეულ კომპონენტს. ეს კურსი ჩვეულებრივ გათვალისწინებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო დისციპლინის პროგრამებში და მისი შინაარსი არ უკავშირდება საგანმანათლებლო სისტემების შედარებით ანალიზს ან საერთაშორისო საგანმანათლებლო პროცესებს. შესაბამისად, აღნიშნული კურსის წვლილი პროგრამის პირველი და მეორე მიზნის მიღწევაში შედარებით შეზღუდულია“ (გვ. 22). ზემოთქმულთან დაკავშირებით შემდეგი უნდა აღინიშნოს: შედარებითი და საერთაშორისო განათლება, როგორც დისციპლინა, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში დინამიკურად ვითარდება. ტრადიციული თემების (საგანმანათლებლო სისტემები შედარებით ჭრილში, განათლების პოლიტიკა, გლობალიზაცია, საერთაშორისო ორგანიზაციები) გარდა, მკვლევრები და დარგის პრაქტიკოსები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ციფრული ტრანსფორმაცია, განათლების ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, და საგანმანათლებლო ინოვაციები, რადგან ისინი გავლენას ახდენენ საგანმანათლებლო სისტემებზე გლობალური მასშტაბით და შესაბამისად, შედარებითი კვლევის ლეგიტიმურ ობიექტებს წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა უნივერსიტეტი შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამებს განსხვავებულად აყალიბებს (მათი ინდივიდუალური პროფილის შესაბამისად): ზოგიერთი მათგანი ყურადღებას ამახვილებს შედარებით და საერთაშორისო განათლებაზე, სხვები კი – განათლებასა და საერთაშორისო განვითარებაზე, განათლების პოლიტიკაზე, ციფრულ ტრანსფორმაციებსა ან საგანმანათლებლო ტექნოლოგიებზე. შესაბამისად, „ძირეული კომპონენტის“ სტრუქტურა განსხვავებულ უნივერსიტეტებში განსხვავებულია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს მაგისტრის ხარისხს განათლების მეცნიერებებში. შესაბამისად, კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს ის კომპეტენციები, რომლებიც რელევანტურია თანამედროვე განათლების მეცნიერებისთვის (ინოვაციებისა და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ჩათვლით). დაწესებულება ითვალისწინებს ექსპერტთა მითითებას და ამის საფუძველზე მოხდება შედარებითი და საერთაშორისო განზომილების კიდევ უფრო მეტი აქცენტირება სასწავლო კურსში შემდეგ საკითხებზე ყურადღების გამახვილებით: ტრანსფორმაციების შემთხვევების შესწავლა კომპარატივისტულ ჭრილში, არსებული საგანმანათლებლო ტექნოლოგიების შედარება ეროვნულ დონეზე და ეროვნული პოლიტიკების შედარებითი ანალიზი, საერთაშორისო განზომილების ანალიზი (OECD, UNESCO, EU). რაც შეეხება ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნას იმის თაობაზე, რომ მოხდეს პროგრამაში ახალი საგნების - „საგანმანათლებლო სისტემები და რეფორმები შედარებით პერსპექტივაში" და „საერთაშორისო ორგანიზაციების და განათლების მართვის“ - დამატება, აღსანიშნავია, რომ ის საკითხები, რომლებიც დასკვნის პროექტშია ჩამოთვლილი - „სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემები, მართვის მოდელები, დაფინანსების მექანიზმები, რეფორმების გამოცდილება, მათი შედეგები და გამოწვევები, საგანმანათლებლო სისტემების ცენტრალიზაციის და დეცენტრალიზაციის საკითხები, განათლების ხელმისაწვდომობის და თანასწორობის პრობლემები, საერთაშორისო

მასშტაბური შეფასების კვლევები (PISA, TIMSS და PIRLS), ასევე საგანმანათლებლო პოლიტიკის გადაცემა და საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება სხვადასხვა ეროვნულ კონტექსტში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციები, სტრუქტურა და საქმიანობის სფეროები, განათლების განვითარებაზე მათი გავლენის მექანიზმები, გლობალური საგანმანათლებლო ინიციატივები, მდგრადი განვითარების მე-4 მიზანი (SDG 4) და საერთაშორისო საგანმანათლებლო ინდიკატორები“ (გვ. 22-23) - საკმაოდ მნიშვნელოვანი და საკვანძო საკითხებია და მათი სათანადო გააზრება და კომპეტენციების ფლობა მათთან მიმართებით აუცილებელია პროგრამის კურსდამთავრებულთათვის. თუმცა, სწავლის შედეგები და თემები, რომლებიც შემოთავაზებულია ამ კურსებითვის, უკვე დაფარულია პროგრამის ორ სავალდებულო კურსში - „შედარებითი და საერთაშორისო განათლება“ და „განათლება და საერთაშორისო განვითარება“. აღნიშნული კურსები ფოკუსირებულია საგანმანათლებლო სისტემებისა და რეფორმების შედარებით ანალიზზე, საერთაშორისო ორგანიზაციების როლზე განათლების პოლიტიკის განსაზღვრაში, და განათლებას, გლობალიზაცისა და საერთაშორისო განვითარებას შორის არსებულ ურთიერთმიმართებებზე. შესაბამისად, დამატებითი სასწავლო კურსების შექმნა გამოიწვევს გადაფარვას არსებულ კურიკულუმთან და ნაკლებად შეუწყობს ხელს სტუდენტთა კომპეტენციების განვრცობას. ქვესტანდარტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი რეკომენდებულია, „საგანმანათლებლო პოლიტიკის" და „განათლების ხარისხის მართვის" სასწავლო კურსებს დაემატოს ზოგადი განათლების პოლიტიკის და ხარისხის მართვის საკითხები, იმისათვის, რომ დაბალანსებულად იქნეს წარმოდგენილი ზოგადი და უმაღლესი განათლების მიმართულებები. „განათლების პოლიტიკის“ სასწავლო კურსთან მიმართებით ექსპერტთა რეკომენდაციას, დაწესებულება არ ეთანხმება, თუმცა კონკრეტულ ასპექტებს იზიარებს რჩევის სახით შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე: განათლების პოლიტიკის სასწავლო კურსს აქვს შესავალი კურსის/Introductory კურსის სტატუსი. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო კურსი ორიენტირებულია ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე ზოგადი და უმაღლესი განათლების პოლიტიკაში ისტორიული ტენდენციებისა და თანამედროვე საგანმანათლებლო დებატების ისტორიულ, სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებში კრიტიკულ გააზრებაზე. ექსპერტთა შეფასებით, „კურსში განხილულია ზოგადი განათლების პოლიტიკის ასპექტები“, თუმცა აღნიშნულია, რომ „უმაღლესი განათლების საკითხებისგან განსხვავებით შედარებით შეზღუდულია ზოგადი განათლების მასშტაბი და სიღრმე“. სასწავლო კურსში თემების ფორმალური დასახელების სიხშირის თვალსაზრისით, ნამდვილად შეიძლება დავეთანხმოთ ექსპერტებს. მაგალითად, მე-7 და მე-9 თემების შემთხვევაში, ზოგადი განათლების საფეხურის არდასახელების გამო, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზოგადი განათლების პოლიტიკის საკითხები ნაკლებად არის წარმოდგენილი სასწავლო კურსის შინაარსში, რაც, რჩევის სახით, მისაღები და ფორმალური თვალსაზრისით გასათვალისწინებელია. რაც შეეხება სასწავლო კურსის შინაარსს, მიგვაჩნია, რომ ზოგადი განათლების პოლიტიკის არსებითი პრობლემატიკის გლობალურ, რეგიონულ და საქართველოს ისტორიულ, სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ კონტექსტში ანალიზის, ინტერპრეტაციის და კრიტიკული შეფასების უნარების გასავითარებლად აუცილებელი შინაარსი კურსში წარმოდგენილია და შეესაბამება კურსის მიზნებს და სწავლის შედეგებს. კერძოდ: 1. სასწავლო კურსის მე-4 და მე-5 კვირებში განსაზღვრულია განათლების პოლიტიკის გლობალური კონტექსტის - საგანმანათლებლო რეფორმები კომპარატივისტულ, ტრანსნაციონალურ და გლობალურ პერსპექტივებში ანალიზი და განათლების პოლიტიკის გასესხებისა და პოლიტიკური კურსის ტრანსფერის საკითხები. წყაროებში განზოგადებული სახით წარმოდგენილია ზოგადი განათლების საფეხურის რეფორმების არსებითი მახასიათებლები და პრობლემატიკა. მაგალითად, ნეოლიბერალური რეფორმების ტალღის დასასრული, ნეოლიბერალიზმამდე და მის შემდეგ, ინსტრუმენტული მიდგომა პოლიტიკის კვლევებში, დისკურსების, პოლიტიკისა და ინსტრუმენტების შერჩევითი სესხება, დროითი განზომილება პოლიტიკის კვლევებში, პოლიტიკის ტრანსფერის სივრცითი განზომილება: ადგილი სივრცის წინააღმდეგ, სკოლის ავტონომია და ანგარიშვალდებულებები - წყარო:

Steiner-Khamsi, G. (2025). Globalisation, education and policy reforms. გლობალიზაციის, როგორც მეტაიდეოლოგიის ახსნა, გლობალიზაციის გავლენა განათლების პოლიტიკასა და რეფორმებზე, გლობალიზაცია და კონკურენტუნარიანობაზე ორიენტირებული რეფორმები, ნეოლიბერალიზმის აღზევება განათლების პოლიტიკაში, რეფორმები, განათლებასა და აკადემიურ მიღწევებში გლობალური ტენდენციები, აკადემიური მიღწევების შედარებითი ხედვა, საგანმანათლებლო მიღწევების საერთაშორისო კვლევები, მარკეტიზაცია და ხარისხზე/ეფექტურობაზე ორიენტირებული რეფორმები, გლობალიზაცია და სოციალური უთანასწორობა - წყარო: Zajda, J. (2020). Globalisation, education and policy reforms. Traveling Reforms from a Comparative, Transnational, and Global Perspective; გლობალიზაცია და სკოლის რეფორმები, გლობალური საგანმანათლებლო რეფორმების დღის წესრიგის წარმოშობა, გლობალური საგანმანათლებლო რეფორმების მოძრაობა, GERM-ის გავლენა განათლების სისტემებზე - წყარო: Sahlberg, P. (2016). The global educational reform movement and its impact on schooling. ამასთანავე, დამატებით საკითხავ მასალაში მოცემულია კონკრეტული შემთხვევების ანალიზიც, მაგალითად, ტაბატაძე, ს. (2023). პოლიტიკური კურსის ტრანსფერი საქართველოს ზოგადი განათლების პოლიტიკაში [სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი] თსუ, გამომცემლობა. ან Dzotsenidze, N. (2018). The school decentralization process in Georgia and South Africa through the lens of world culture theory: A comparative analysis. In Cross-nationally comparative, evidence-based educational policymaking and reform (Vol. 35, pp. 101-124). Emerald Publishing. 2. მე-8 თემის - განათლების პოლიტიკა ევროპული კონტექსტი - პოსტსაბჭოთა საგანმანათლებლო სივრცის ტრანსფორმაცია და ადაპტაცია - საკითხებზე მსჯელობისას დამუშავდება, მათ შორის ზოგადი განათლების პოლიტიკის საკითხებიც, რაც დამატებითი საკითხავი მასალის სახითაა წარმოდგენილი: Janashia, S. (2018). Introduction of the per capita funding model of finance in the post-Soviet countries: The cases of Latvia and Georgia. Comparing post-socialist transformation: Problems, policies, and practices in education, 63-84., Tabatadze, S., & Gorgadze, N. (2018). School voucher funding system of post-Soviet Georgia: From lack of funding to lack of deliverables. Journal of School Choice, 12(2), 271-302. Tabatadze, S., & Gorgadze, N. (2018). School voucher funding system of post-Soviet Georgia: From lack of funding to lack of deliverables. Journal of School Choice, 12(2), 271-302. 3. მე-10 თემის - განათლების პოლიტიკა საქართველოში (1) - ისტორიული, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური კონტექტი - განხილვისას სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია, ჭანტურია გ., ქადაგიძე მ., & მელიქაძე გ. (2020) სასკოლო განათლების ისტორია 1990–2020 და განათლების სისტემის გარდაქმნის და და განმტკიცების პროექტი ,,ილია ჭავჭავაძე", ხოლო ინდივიდულური საშინაო დავალების ფორმატში დამუშავდება დამატებით მასალაში წარმოდგენილი შემდეგი წყაროები: უზნაძე დ. (1917). სკოლის რეფორმის შესახებ კავკასიაში, ირემაძე ი. (2024). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალური პოლიტიკა, [სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი] თსუ გამომცემლობა გვ.77-112., ბრეგაძე, თ.(2012). ფორმალური ზოგადი განათლება და კერძო რეპეტიტორობა როგორც პარალელური სისტემები [სადისერტაციო ნაშრომი, ილიას უნივერსიტეტი], გორგოძე ს. (2017). გზა ცენტრალიზაციიდან დეცენტრალიზაციისაკენ და უკან: როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს ზოგადი განათლების სფეროში, [სადისერტაციო ნაშრომი, ილიას უნივერსიტეტი]; 4. მე-11 თემის - განათლების პოლიტიკა საქართველოში (2): განათლების პოლიტიკის შემუშავება-განხორციელების პროცესი, პოლიტიკის პროცესში მონაწილე სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო აქტორები და ინსტიტუტები, მათი უფლებამოსილებები - ზოგადი განათლების საფეხურის პოლიტიკის საკითხებად ძირითად ლიტერატურად განიხილება კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, საქართველოს განათლების და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030, საქართველოს პარლამენტი, თემატური მოკვლევები განათლების დარგში და ინტერნეტ-რესურსებში მითითებული საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის (NCER) ეროვნული შეფასებების ანგარიშები. ექსპერტთა კომენტარს „რეკომენდებულია კურსში

ზოგადი და უმაღლესი განათლების პოლიტიკის საკითხები უფრო დაბალანსებულად იყოს წარმოჩენილი“ რელევანტურად და გასათვალიწინელად მივიჩნევთ ორი თემის ფარგლებში - მე-7 - განათლების პოლიტიკა: ევროპული კონტექსტი - უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე გლობალურ კონტექსტში და მე-9 თემის - განათლების პოლიტიკა ევროპული კონტექსტი - ევროპეიზაციის პროცესი განათლების პოლიტიკის ჭრილში კომპონენტებში. სასწავლო კურსის „განათლების ხარისხის მართვა“ მიზნები და სწავლის შედეგები არ განსაზღვრავს ზოგადი განათლების ხარისხის მართვის საკითხების სიღრმისეულ შესწავლას, როგორც ეს დასკვნის ტექსტშია მოცემული და შესაბამისად კურსის ძირითადი აქცენტი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ზოგად პრინციპებსა და უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის სისტემებზეა გაკეთებული. ამასთანავე, კურსის შინაარსი უკვე მოიცავს ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, თემის „განათლების ხარისხის უზრუნველყოფა საქართველოში“ ფარგლებში განხილულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, როგორც ზოგად ისე უმაღლეს განათლებაში. ასევე თემის „გარე შეფასება – ავტორიზაცია“ სწავლებისას გამოყენებულია საქართველოში მოქმედი ავტორიზაციის დებულება, რომლიც მოიცავს როგორც ზოგადი, ისე უმაღლესი განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საკითხებს. შესაბამისად, კურსი უკვე უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების გაცნობას იმ მოცულობით, რაც შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნას და უნარებს კურსდამთავრებულისათვის. სტანდარტი II 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების სათანადო რაოდენობა, რომლებსაც ექნებათ დარგში დოქტორის ხარისხი, შესაბამისი კვლევითი და ნაშრომების ხელმძღვანელობის გამოცდილება სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობის და ერთი ხელმძღვანელისათვის განსაზღვრული სტუდენტების შიდა ლიმიტის შესაბამისად. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში არსებობს „სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი“, სადაც მე-3 მუხლში დეტალურად განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების რაოდენობა, მათი კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება. „მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები, გამონაკლის შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით, მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორანტი, რომელსაც აქვს შესაბამისი აკადემიური კვლევითი გამოცდილება და კვალიფიკაცია, უხელმძღვანელოს მაგისტრანტის სამეცნიეროკვლევით საქმიანობას“. შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალი და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები სრულად აკმაყოფილებენ აღნიშნულ დებულებაში მითითებულ ყველა კრიტერიუმს. სამაგისტრო პროგრამაში, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებად ამ ეტაპზე ჩართული არის 7 პერსონალი, აქედან 3-ს უშუალოდ აქვს დოქტორის კვალიფიკაცია განათლების სფეროში. დარჩენილი 4 პერსონალიდან 2 არის დოქტორანტი განათლების მიმართულებით (დისერტაცია წარდგენილია დასაცავად), ხოლო პროგრამაში ჩართულ დარჩენილ 2 პერსონალს აქვს განათლების სფეროში მუშაობის 10 წელზე მეტი ხნის გამოცდილება. ამასთან, უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს კადრების მოზიდვაზე და აკრედიტაციის პროცესში მყოფ პროგრამას დაემატა 2 განათლების სფეროში დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი. რომელთანაც დაიდო შესაბამისი ხელშეკრულებები. იხ. დანართი 1.1 და დანართი 1.2 პროგრამა ითვალისწინებს 15 მაგისტრანტის მიღებას, უნივერსიტეტის დებულების მიხედვით ერთ ხელმძღვანელს შეუძლია უხელმძღვანელოს 5 მაგისტრანტს. პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია და გამოცდილება საკმარისია აღნიშნულის განსახორციელებლად. მაგისტრანტს, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხელმძღვანელად შეიძლება დაენიშნოს მომიჯნავე დარგის მკვლევარი (მაგალითად,

სოციოლოგიის დოქტორი, ანთროპოლოგიის დოქტორი, განათლების ადმინისტრირების დოქტორი და ა.შ.). ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შედარებითი და საერთაშორისო განათლება, როგორც სფერო, თავისი ბუნებით ინტერდისციპლინურია და ის ემყარება ისეთ დარგებს, როგორებიცაა განათლება, სოციოლოგია, პოლიტიკის მეცნიერება, ეკონომიკა, ისტორია, ფილოსოფია და საერთაშორისო ურთიერთობები. შესაბამისად, პროგრამა გამიზნულად შეიქმნა იმგვარად, რომ მომხდარიყო განათლების მეცნიერებების სპეციალისტთა ინტეგრაცია მომიჯნავე დისციპლინების იმ სპეციალისტებთან, რომელთა გამოცდილება და კვალიფიკაცია უშუალოდ უწყობს ხელს პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევას. და მაგალითად, სასწავლო კურსი „განათლების ტრადიციები ინტერკულტურულ პერსპექტივაში“ გამიზნულია იმისთვის, რათა შეასწავლოს სტუდენტებს ფართო თეორიული საფუძვლები, რომლებიც შედარებითი საგანმანათლებლო ანალიზისთვისაა საჭირო. პროგრამის აკადემიური პროფილი ემყარება გამოცდილების ურთიერთშემავსებლობის პრინციპს, რაც განაპირობებს კიდეც მის ინტერდისციპლინურ ორიენტაციას. 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მკაფიოდ განსაზღვროს და გამოიყენოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების დანიშვნის გამჭვირვალე კრიტერიუმები. ასევე, ხელმძღვანელებისთვის დაადგინოს დოქტორის ხარისხის მოთხოვნის გამონაკლისები, იმისათვის, რომ სათანადოდ დაასაბუთოს თითოეული შემთხვევა და უზრუნველყოს ხელმძღვანელის კვალიფიკაციის, კვლევითი და დარგობრივი გამოცდილების შესაბამისობა სამაგისტრო ნაშრომის თემატიკასთან და მიმართულებასთან. აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება კატეგორიულად არ იზიარებს, ვინაიდან უნვიერსიტეტში მოქმედებს „სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი“, სადაც დეტალურად გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების დანიშვნის გამჭირვალე კრიტერიუმები, ხელმძღვანელებისთვის დოქტორის ხარისხის მოთხოვნის გამონაკლისები. აღნიშნული წესი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, ასევე ექსპერტებს ჰქონდათ მისი გაცნობის შესაძლებლობა. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციის დაწერის საფუძველი გაუგებარია დაწესებულებისთვის. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, შედარებითი და საერთაშორისო განათლება ინტერდისციპლინური დარგია. შესაბამისად, დოქტორის ხარისხი განათლებაში არ უნდა ჩაითვალოს ერთადერთ კრიტერიუმად ისეთ პროგრამაზე სწავლებისას, როგორიცაა, შედარებითი და საერთაშორისო განათლება, რომლის დიზაინიც იმთავითვე ემყარება მომიჯნავე დარგებს (სოციოლოგია, ფილოსოფია, პოლიტიკის მეცნიერება). საკვანძო მნიშვნელობის ამ შემთხვევაში არის ის, ფლობს თუ არა აკადემიური პერსონალი სწავლებისა და კვლევის სათანადო გამოცდილებას, რათა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები იქნეს მიღწეული. აღსანიშნავია, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი სწორედ ინტერდისციპლინურობის პრინციპით იქნა შერჩეული: მათი სპეციალობა და კვლევითი გამოცდილება ურთიერთშემავსებელია და ხელს უწყობს პროგრამით დასახული მიზნების განხორციელებას. 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სამაგისტრო ნაშრომების პოტენციური ხელმძღვანელებისთვის უზრუნველყოს მიზნობრივი ტრენინგი და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც არ აქვს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის გამოცდილება, იმისათვის, რომ უზრუნველყოს კვლევითი კომპონენტის ეფექტური განხორციელება აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებისთვის ბუნდოვანი და გაუგებარია, ვინაიდან არ არის განსაზღვრული თუ რა დამატებითი ცოდნისა და უნარების განვითარებას ისახავს მიზნად და რა სახის ტრენინგების ჩატარება იგულისხმება იმ აკადემიური პერსონალისთვის, რომელიც არის კვალიფიციური და აქტიურად ჩართული კვლევით საქმიანობაში და შესაბამისად, უდასტურდებათ გამოქვეყნებები. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტის მხრიდან ხდება კონსულტაცია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის და ზოგადი პროცედურული საკითხების შესახებ, კერძოდ: მიეწოდებათ ინფორმაცია სემესტრის მანძილზე მათი, როგორც ხელმძღვანელების

პასუხისმგებლობების, ვალდებულებებისა და უფლებების შესახებ. ასევე, ხელმძღვანელებს მიეწოდებათ ინფორმაცია უნივერსიტეტში მოქმედი ციტირების წესის შესახებ, უნივერსიტეტისა და სხვა სამეცნიერო ბაზების წვდომის შესახებ და მთელი სემესტრის მანძილზე ხელმძღვანელთან აქტიურ კომუნიკაციაში არის ფაკულტეტის ადმინისტრაცია. დამატებით, ზემოაღნიშნული საკითხები მითითებულია სილაბუსშიც. რეკომენდაციის დაზუსტების შემთხვევაში უნივერსიტეტი იმსჯელებს იმ კონკრეტულ მიმართულებებსა და ღონისძიებებზე, რომლებიც შემოთავაზებული იქნება და განიხილავს მათ შესაძლო დანერგვას. 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება რეკომენდებულია, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები / მემორანდუმები და / ან მათი დანართები მკაფიოდ ასახავდეს მისაღები სტუდენტების რაოდენობას, პრაქტიკის კომპონენტის მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს და ხანგრძლივობას, ასევე წარმოაჩენდეს, თუ როგორ უწყობს ხელს პრაქტიკის კომპონენტი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულება არ ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას. უნივერსიტეტის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სრულად და ამომწურავად პასუხობს რეკომენდაციაში დასმულ თითოეულ კითხვასა თუ მოთხოვნას. კერძოდ: მისაღები სტუდენტების რაოდენობა: მემორანდუმების ტექსტში სტუდენტთა რაოდენობრივი კვოტები განსაზღვრულია მკაფიო ციფრებითა და ფორმულირებებით (მუხლი 2, პუნქტი 2.1.2). კერძოდ, „საქართველოს ახალგაზრდა მკვლევარსოციოლოგთა ასოციაცია“ იღებს ვალდებულებას სემესტრში მიიღოს მინიმუმ ერთი სტუდენტი შესაბამისი პროგრამებიდან, ხოლო მაქსიმალური რაოდენობა რეგულირდება უნივერსიტეტთან წინასწარი შეთანხმებით, ორგანიზაციის მიმდინარე პროექტების მასშტაბის გათვალისწინებით. (სხვა პარტნიორებთან, მაგალითად „უახლესი ისტორიის ცენტრსა“ თუ „თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრთან“ კვოტა ანალოგიურად მკაფიოა და შეადგენს 6-10 სტუდენტს, ხოლო „ლაშართან“ — 3-5 სტუდენტს). პრაქტიკის კომპონენტის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები: მემორანდუმის 1.2 პუნქტი პირდაპირ და დეტალურად აყალიბებს პრაქტიკის მიზნებს. ესენია: სტუდენტის თეორიული ცოდნის განმტკიცება, პრაქტიკულ გარემოში მოქმედების უნარების ჩამოყალიბება-განვითარება, რეალურ სამუშაო გარემოში თეორიული და პრაქტიკული ასპექტების სინთეზი, სამუშაო ბაზართან დაახლოება და დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა. პრაქტიკის ხანგრძლივობა: მემორანდუმის 2.1.1 პუნქტის თანახმად, პრაქტიკის საერთო ხანგრძლივობა იმთავითვე განსაზღვრულია სემესტრის ხანგრძლივობით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესთან მის სრულ სინქრონიზაციას. კალენდარული გეგმა კი, 2.1.4 პუნქტის მიხედვით, თანხმდება წინასწარ, კონკრეტული პროექტების შინაარსიდან გამომდინარე. შეფასების პასუხისმგებლობები: მემორანდუმის მე-3 მუხლი მკაფიოდ მიჯნავს და ანაწილებს შეფასების პასუხისმგებლობებს უნივერსიტეტსა და პრაქტიკის ობიექტს შორის. კერძოდ: ორგანიზაციის მხრიდან მენტორი სემესტრის განმავლობაში აფასებს სტუდენტის მიღწევებს (პუნქტი 3.4.3) და პრაქტიკის დასრულებისას ადგენს ოფიციალურ დახასიათებას, სადაც დეტალურად აღწერს სტუდენტის მიერ შეძენილ კომპეტენციებსა და მის საბოლოო შეფასებას (პუნქტი 3.4.4). უნივერსიტეტის მხრიდან პრაქტიკის ხელმძღვანელი საბოლოოდ აფასებს სტუდენტის მიერ მიღწეულ კომპეტენციებს (პუნქტი 3.3.5) და ხელმძღვანელობს ანგარიშის მომზადებას, რომელსაც სტუდენტი იცავს სპეციალურად შექმნილი კომისიის წინაშე აკადემიური კრედიტის მისანიჭებლად (პუნქტები 3.1.3 და 3.3.4). უკუკავშირის მექანიზმები: მემორანდუმით გარანტირებულია მრავალდონიანი უკუკავშირი: სტუდენტსა და მენტორს შორის ყოველდღიური დინამიკური უკუკავშირი ხორციელდება პრაქტიკის დღიურის მუდმივი შემოწმებითა და საქმიანობაზე ზედამხედველობით (პუნქტი 3.2.3). ორგანიზაციის მხრიდან უკუკავშირის ფორმალიზება ხდება მენტორის მიერ სპეციალური დოკუმენტის — ყოველთვიური შუალედური ანგარიშის ფორმის შევსებით (პუნქტი 3.4.2). უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტისთვის მუდმივი უკუკავშირის მიწოდება, მისი საჭიროებების იდენტიფიცირება და მხარდაჭერა პრაქტიკის

პროცესში ხორციელდება უნივერსიტეტის წარმომადგენლის/ხელმძღვანელის მიერ რჩევებისა და რეკომენდაციების მუდმივი გაზიარებით (პუნქტი 3.3.2). პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობა და ხარისხის გარანტიები: მემორანდუმი არ შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი დეკლარირებით, არამედ ქმნის ქმედით მექანიზმებს სწავლის შედეგების მისაღწევად: 1.2 პუნქტში ჩამოთვლილი კომპეტენციები სრულად ფარავს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტებს. მე-3 მუხლი (3.2, 3.3 და 3.4 პუნქტები) დეტალურად აღწერს ხელმძღვანელისა და მენტორის ფუნქციებს. სწავლის შედეგებზე გასვლას დამატებით უზრუნველყოფს სამმხრივი კონტროლის მექანიზმი: ყოველდღიური ჩანაწერების (პრაქტიკის დღიურის) წარმოება სტუდენტის მიერ, მენტორის ყოველთვიური შუალედური ანგარიშები, მენტორის საბოლოო დახასიათებაშეფასება და სტუდენტის მიერ მომზადებული პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვა სპეციალური კომისიის წინაშე (3.3.4 პუნქტი). მე-4 მუხლი (4.3 პუნქტი) ორგანიზაციის მხრიდან სწავლების ადეკვატური პირობების (ციფრული/დისტანციური პლატფორმები, ონლაინ სასწავლო სივრცე, ელექტრონული/წიგნადი რესურსები) შექმნის გარანტიაა, რაც პირდაპირ რეზონირებს სწავლის შედეგების ხარისხიან მიღწევასთან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევთ, რომ პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების არსებული ტექსტები სრულად, მკაფიოდ და ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე არეგულირებს ექსპერტთა რეკომენდაციაში დასმულ ყველა ინდიკატორს. აღნიშნული სამართლებრივი ჩარჩო სავსებით საკმარისია პრაქტიკის კომპონენტის თანმიმდევრული განხორციელებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევის უზრუნველსაყოფად. და რაც მთავარია, სრულად შესაბამისობაშია საკანონმდებლო მოთხოვნებთან, მათ შორის, აკრედიტაციის სტანდარტთან. სტანდარტი IV ქვესტანდარტი 4.1 ადამიანური რესურსი რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაზარდოს განათლებაში ან მომიჯნავე დარგებში დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის წილი როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, შედარებითი და საერთაშორისო განათლება ინტერდისციპლინური დარგია. შესაბამისად, დოქტორის ხარისხი განათლებაში არ უნდა ჩაითვალოს ერთადერთ კრიტერიუმად ისეთ პროგრამაზე სწავლებისას, როგორიცაა შედარებითი და საერთაშორისო განათლება, რომლის დიზაინიც იმთავითვე ემყარება მომიჯნავე დარგებს (სოციოლოგია, ფილოსოფია, პოლიტიკის მეცნიერება). საკვანძო მნიშვნელობის ამ შემთხვევაში არის ის, ფლობს თუ არა აკადემიური პერსონალი სათანადო გამოცდილებას, რათა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები იქნეს მიღწეული. აღსანიშნავია, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი სწორედ ინტერდისციპლინურობის პრინციპით იქნა შერჩეული: მათი სპეციალობა და კვლევითი გამოცდილება ურთიერთშემავსებელია და ხელს უწყობს პროგრამით დასახული მიზნების განხორციელებას.".

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაესვათ კითხვები არსებობის შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ „შედარებითი და საერთაშორისო განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად უნდა ყოფილიყო გაყოფილი ორ ნაწილად (60+60), ის დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შესაფასებელი საგანმანათლებლო პროგრამა კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ შესაფასებელი საგანმანათლებლო პროგრამა დალაგებულია 1+1 სტანდარტით და ცენტრთან კონსულტაციის შემდეგ ფორმალურადაც მოხდება აღნიშნული საკითხის შეთანხმება.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ჭალაგანიძე დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ სად გაივლიდნენ სტუდენტები პრაქტიკებს. ასევე, მან აღნიშნა, რომ რადგან ეს არის შედარებითი

და საერთაშორისო განათლების პროგრამა საინტერესოა, როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობას, მისი თქმით, პროგრამაში განსაზღვრულია ერთი ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი, რომელსაც ქართველი ლექტორი კითხულობს. ასევე მან აღინიშნა, რომ უნივერსიტეტმა ყურადღება უნდა მიაქციოს მემორანდუმებს, მისი თქმით, საერთაშორისო უნივერსიტეტების საკმაოდ დიდი ჩამონათვალია, თუმცა ქართული უნივერსიტეტების სულ 4 ორგანიზაციაა პრაქტიკისთვის განსაზღვრული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი თავაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში მას მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა კოლეგებთან ჰონგ-კონგის უნივერსიტეტში, სადაც არსებობს მსგავსი პროგრამა. მისი თქმით, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამას განათლების მეცნიერების ხარისხი ენიჭება, სტუდენტებისთვის თანამშრომლობის ფორმატი, რომელიც გულისხმობს უცხოელი პარტნიორების ჩართვას ვებინარებში და ვორქშოპებში უფრო მეტად რელევანტურია. პრაქტიკები იქნება იმ კვლევით ცენტრებში, რომელიც აქვს დაწესებულებას, ან იმ სამეცნიერო პროექტებში ჩართულობით თუ სტუდენტს ექნება ამის სურვილი, ან იმ დაწესებულებებთან თანამშრომლობით, რომლებთანაც უკვე აქვს დაწესებულებას გაფორმებული მემორანდუმები.

საბჭოს წევრმა, შალვა კელეპტრიშვილმა აღნიშნა, რომ ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები ითვალისწინებს 18 კრედიტს, რომლის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს როგორც შედარებითი და საერთაშორისო სამაგისტრო განათლების პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები, ისე უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი სასწავლო პროგრამიდან. მას აინტერესებდა სხვა პროგრამის საგანი ძირითადი სფეროს არჩევით საგნად რატომ შეიძლება ჩაეთვალოს სტუდენტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ სხვა სპეციალობის საგანი ძირითადი სფეროს არჩევით საგნად არ ჩაეთვლება. ამ 18 კრედიტში შეუძლია სტუდენტს აირჩიოს როგორც თავისი პროფესიული არჩევითი, ისე სხვა სპეციალობის საგნები. არჩევითი საგნები არ მონაწილეობს შედეგის მიღწევაში.

საბჭოს წევრმა, შალვა კელეპტრიშვილმა აღნიშნა, რომ საგნები არის 3 და 6 კრედიტიანი, ზოგიერთ შემთხვევაში 3 კრედიტიან საგანს უფრო მეტი საკონტაქტო საათი აქვს, ვიდრე 6 კრედიტიანს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის პროცესი არ უნდა ეფუძნებოდეს სუბიექტურ შეფასებას. სწავლა - სწავლების საგანი არის ტრენინგ მოდულების მსგავსად აწყობილი საგანი, სადაც უმთავრესი აქცენტი გაკეთებულია პრაქტიკული უნარების შეძენაზე. კრედიტების გაანგარიშების წესი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, შესაბამისად საკონტაქტო საათები კრედიტების მიხედვით არ განისაზღვრება. ამასთან, დაწესებულებას აქვს 7 კვლევითი ცენტრი, პროგრამაში არის სასწავლო კურსიც, რომელიც პრაქტიკის გავლას მოითხოვს. დაწესებულებას უცხოელ პარტნიორებთან ერთად აქვს პრაქტიკები და სტაჟირების კურსები როგორც შერეული, ისე ონლაინ და ადგილზე ჩატარების ფორმატის. აღნიშნული კურსები არის ბაკალავრიატის დონეზეც, რომელიც საკმაოდ წარმატებულად ხორციელდება. აღნიშნული პრაქტიკების განხორციელების გამოცდილება დაწესებულებას უკვე აქვს და განსაკუთრებით, განათლების მეცნიერების თვალსაზრისით გაცილებით სასიამოვნო იქნება ურთიერთობა უცხოელ პარტნიორებთან.

საბჭოს წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამასთან მიმართებით შეფასების ნაწილი მინისტრის მესამე ბრძანებასთან უნდა იყოს სრულად შესაბამისობაში მოყვანილი.

საბჭოს წევრმა, ნინო ხოლუაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. ის დაინტერესდა, დაწესებულებას თუ ჰქონდა შესაფასებელი პროგრამა გაყოფილი (60+60) პრინციპით და რამდენი კრედიტი ჰქონდა დათმობილი სამაგისტრო ნაშრომს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ პროგრამა შემუშავებულია. სამაგისტრო ნაშრომი მთელ სემესტრს იკავებს, რადგან ეს არის განათლების მეცნიერების პროგრამა და მთავარი აქცენტი გაკეთებულია სრულად კვლევაზე. პროგრამა ისე არის გადაწყობილი, რომ 1+1 პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში სემესტრები გაიყოფა ბუნებრივად.

საბჭოს წევრმა, ლევან შავაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, სტანდარტის 4.1 კომპონენტში, გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ეხება განათლებაში ან მომიჯნავე დარგებში დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის გზრდის საკითხს, მას აინტერესებდა დაწესებულების გეგმა პერსონალის რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შესაბამისი გეგმა. უნივერსიტეტს ჰყავს შესაბამისი პერსონალი, თუმცა დაწესებულება მუშაობს სამეცნიერო თვალსაზრისით მოიზიდოს პერსონალი. აღნიშნულ პროგრამაში უცხოელი პერსონალი იმიტომ არ არის ჩართული, რომ კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომელიც მოითხოვს რამოდენიმე ეტაპიან პროცედურას უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ შეიკავა თავი დაწესებულებამ ამ ეტაპზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:36
დასრულების დრო: 12:09

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „შედარებითი და საერთაშორისო განათლების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-5 პუნქტების, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „შედარებითი და

საერთაშორისო განათლების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე.

საბჭომ სრულად გაიზიარა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები, თუმცა ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ სტანდარტის 1.4 კომპონენტთან დაამატა რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაში მოვიდეს საკანონმდებლო რეგულაციებთან, რომლის თანახმადაც პროგრამის უნდა მოიცავდეს არანაკლებ 120 კრედიტს, რომელიც აერთიანებს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 60-კრედიტიან ნაწილებს, აღნიშნულის შესაბამისად სრულად უნდა გადაიხედოს პროგრამა." შედეგად, სტანდარტის 1.4 კომპონენტი, ნაცვლად, "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", განისაზღვრა, როგორც, "არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", შესაბამისად მთლიანი პირველი სტანდარტი ნაცვლად, "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", განსაზღვრა როგორც, "არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან".

საბჭომ დამატებით განმარტა, რომ: „შედარებითი და საერთაშორისო განათლების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის გადაწყვეტილება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ შეფასებისათვის წარმოდგენილი „შედარებითი და საერთაშორისო განათლების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა არ შეესაბამებოდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, პროგრამა არ იყო სტრუქტურირებული I ნაწილის არანაკლებ 60 კრედიტი და II ნაწილის არანაკლებ 60 კრედიტის მოდელის შესაბამისად.
აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა აგებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 20 თებერვლის №20/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე კრედიტების მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრის“ შესაბამისად, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ 60 კრედიტით ან არანაკლებ 120 კრედიტით, რომელიც აერთიანებს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 60-კრედიტიან ნაწილებს.
საბჭომ ასევე გაითვალისწინა დაწესებულების განმარტება იმის შესახებ, რომ პროგრამის შესაბამის მოდელზე გადაწყობა შემუშავებული იყო და მისი ფორმალური შეთანხმება იგეგმებოდა. თუმცა, საბჭოს სხდომაზე შეფასების საგანს წარმოადგენდა ცენტრში აკრედიტაციის მიზნით ოფიციალურად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა და მისი შესაბამისობა შეფასების მომენტისთვის მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან. შესაბამისად, სამომავლოდ დაგეგმილი ან შემუშავებული ცვლილებები ვერ ჩაითვლებოდა წარმოდგენილი პროგრამის არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრის საფუძვლად.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი პეტრე ბაბილუა.

მეორე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მევენახეობის და მეღვინეობის" საბაკალავრო და "მევენახეობის და მეღვინეობის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა:

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მევენახეობა და მეღვინეობა
საფეხური: ბაკალავრიატი
სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მევენახეობის და მეღვინეობის ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი: 0811 - მევენახეობა და მეღვინეობა

2. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მევენახეობა და მეღვინეობა
საფეხური: ბაკალავრიატი
სწავლების ენა: ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მევენახეობის და მეღვინეობის ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი: 0811 - მევენახეობა და მეღვინეობა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა, ზოლტ ზოფმა (Zsolt Zsófi) აღნიშნა, რომ მთლიანობაში პროგრამა ძალიან კარგად არის აგებული, თუმცა ექსპერტებს ჰქონდათ მცირე შენიშვნები. პირველ ნაწილში წარმოდგენილია 3 რეკომენდაცია. რეკომენდაციები ძირითადად ეხება მეთოდოლოგიას და სწავლების ნაწილს, ასევე მნიშვნელოვანია დამხმარე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ძირითადი გასაუმჯობესებელი მხარეა სწავლების რესურსები, ასევე, გასაუმჯობესებელია ღვინის წარმოების და ყურძნის მოყვანის ადგილები. ასევე, გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ გარკვეულ სილაბუსში სრულად არ იყო მითითებული ლიტერატურა. რეკომენდებულია ასევე პრაქტიკული ნაწილის გაუმჯობესება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გელა ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა დაიწყო საკუთარი ბაზის მოძიება. მიმდინარეობს პროცესი, უნივერსიტეტმა შეიძინა ვენახი, სადაც სტუდენტები გაივლიან სასწავლო პრაქტიკებს. გარდა ამისა, შენიშვნა ეხებოდა ლაბორატორიების აღჭურვას, თუმცა ლაბორატორიული აღჭურვა დღეისთვის სრულად აკმაყოფილებს პირველი წლის საგნების მოთხოვნებს. რაზეც დასკვნაშიც ხაზგასმულია, რომ მისი საჭიროება დგება მეორე წლიდან. რეაკრედიტაციის გავლის შემდეგ დაწესებულება შეიძენს და განავითარებს აღჭურვილობას, სადაც მოხდება ღვინის ლაბორატორიის მოწყობა. ხოლო ლიტერატურა, რომელიც არ იყო მითითებული სილაბუსში, მისი შეძენაც უკვე გადაწყვეტილია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, თეა ნარეკლიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მძიმე, მავნე და საშიშ პირობებიან სამუშაოთა ჩამონათვალში შეტანილია მეღვინეობა, ღვინის წარმოება. პროგრამაში შრომის უსაფრთხოება და სურსათის უვნებლობა განსაზღვრულია არჩევით საგნებში და მას აინტერესებდა რატომ არ იყო ეს საგნები ძირითად ჩამონათვალში.
დაწესებულების წარმომადგენელმე აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავებისას დაწესებულებამ იხელმძღვანელა მსოფლიო ღვინის ორგანიზაციის დისციპლინების ჩამონათვალით. არცერთ დოკუმენტში შრომის უსაფრთხოება ძირითად ჩამონათვალში არ არის. გარდა ამისა, პროგრამაზე უცხოელების მიღებასაც აპირებს უნივერსიტეტი სამომავლოდ და სხვადასხვა ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების წესები სხვადასხვაა. ამიტომ მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო

დაწესებულებამ. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ სტანდარტით აღნიშნული საკითხი არ მოითხოვება, შესაბამისად დაწესებულება ვერ დააპრიორიტეტებდა აღნიშნულს. მაშინ ცენტრის მხრიდან უნდა ყოფილიყო მოთხოვნა. შესაბამისად ამ მოცემულობაში დაწესებულება არ არღვევს კანონმდებლობას. ეს საგნები ძირითადია იმ პროგრამებში, სადაც ქიმიურ ნაერთებთან უწევს სტუდენტს შეხება. ამ შემთხვევაში პირველსა და მეორე კურსზე უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია სხვადასხვა კურსში არის ინტეგრირებული. ასევე, დაწესებულებაში შექმნილია ერთიანი ჯანმრთელობის ინსტიტუტი, რომელიც თავისთავში მოიცავს ლაბორატორიებს, მიკრობიოლიგიურ და გენეტიკურ ლაბორატორიებს. დაწესებულებამ უკვე შეიძინა ტერიტორია, სადაც გაშენდება ახალი ვენახი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ მევენახეობის და მეღვინეობის ინჟინერიაში განხილულია შრომის უსაფრთხოების საკითხები, ასევე ქიმიაში, არაორგანულ ქიმიაში, ღვინის ანალიზში და ა.შ. ამ საგნებში მინიმუმ 2 საათიანი ლექცია ეთმობა შრომის უსაფრთხოებასა და ლაბორატორიაში უსაფრთხო ქცევას.
დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ პირველ რიგში, როდესაც კომპანია ფუნქციონირებს და აქვს პრეტენზია ხარისხზე, აქვს შესაბამისი სერთიფიკატები, სადაც ყოველდღიური მთელი რიგი პროცესებია აღწერილი. ამიტომ, გარდა თეორიული ცოდნისა სტუდენტები როცა პრაქტიკებზე წავლენ, აუცილებლად დახვდებათ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ამასთან, მეღვინეობის სწავლა იწყება მარნის რეცხვა სანიტარიით და სწავლების თითოეული პუნქტი მოიცავს შრომის უსაფრთხოებას.

საბჭოს წევრი, შალვა კელეპტრიშვილი დაინტერესდა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ 12 სწავლის შედეგიდან 3 გადის მხოლოდ გაცნობაზე. მას აინტერესებდა რამდენად სრულყოფილია სწავლის შედეგების რუკა, როდესაც 9-დან 3 შედეგი იწყება გაცნობით და მთავრდება გაცნობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის საგნები, რომლებიც მხოლოდ გაცნობასთან არის დაკავშირებული, არის ზოგადი დისციპლინები, სადაც ვერ მოხდება განმტკიცება და გაღრმავება. ეს ხდება ისეთ საგნებში, რომლებიც უფრო ახლოს არის დარგთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქართულ ენასთან დაკავშირებულ კომპეტენციებზე ყურადღების გამახვილება განაპირობა იმან, რომ ყველა პროგრამას დაავალდებულა რეგულაციამ, რომ ქართული ენის სპეციალური კურსი ჰქონოდა ინტეგრირებული. დაწესებულებას სპეციალურად დაეგზავნა სწავლის შედეგები და სტრუქტურა, შესაბამისად შედეგიც ისეა ფორმულირებული, როგორც აღნიშნული სასწავლო კურსისთვის იქნებოდა ოპტიმალური.
საბჭოს წევრმა, შალვა კელეპტრიშვილმა აღნიშნა, რომ 12-დან 3 საგანი არ უნდა ჩერდებოდეს გაცნობაზე, რადგან თითოეული სწავლის შედეგი უნდა იყოს სრული. ერთი საგანი შედეგზე ვერასდროს გავა. მეცხრე სწავლის შედეგში აღნიშნულია, რომ ამუშავებს და აანალიზებს განსხვავებული სწავლის სტილით შექმნილ ნაშრომებს, ტერმინებს დამოუკიდებლად იძიებს მისთვის მასალას/ინფორმაციას. მას აინტერესებდა ამ შედეგზე მხოლოდ ქართული ენა გადიოდა თუ არა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ შედეგზე მხოლოდ ქართული ენა არ გადიოდა.
საბჭოს წევრმა, შალვა კელეპტრიშვილმა აღნიშნა, რომ გამოცდაზე შეფასება არის 100%, 75%, 50%, 25%, 0%, ქულებში ეს იქნება 20, 15, 10, 5, 0. კრიტერიუმის ბიჯი გამოდის 5 ქულა. მას აინტერესებდა ხომ არ იყო დიდი ბიჯი შეფასებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიჯი ნამდვილად დიდია. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ეს არის ფინალური გამოცდის შეფასების სისტემა. გამსხვილებულია კრიტერიუმები, სადაც ლექტორს ეძლევა თავისუფლების დიდი მაშტაბი და თავად წყვეტს 100-დან 75 შუალედში რა კრიტერიუმს მიანიჭებს.

საბჭოს თავმჯდომარეს, ლევან შავაძეს აინტერესებდა ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი პროგრამებისთვის იდენტური იყო თუ არა ლიტერატურა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თითქმის იდენტურია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილია ინგლისურენოვანი ლიტერატურა, უბრალოდ მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში არ არის უბრალოდ სპეციალობა და კარგი იქნებოდა ქართულენოვანი ლიტერატურის არსებობა პროგრამაში. ასევე მან აღინიშნა, რომ მევენახეობის კურსის სილაბუსი არ მოიცავს ვენახში ნიადაგის დამუშავების საკითხს. ამასთან, პელოგრაფიის სილაბუსში მეორე კვირის თემად არის განხილული ყურძნისებრთა ოჯახები. მას აინტერესებდა აღნიშნული კურსის ფარგლებში სტუდენტი უნდა სწავლობდეს თუ არა ყურძნის აზიურ და ამერიკულ სახეობებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება გაითვალისწინებს შენიშვნებს და მაქსიმალურად მოარგებს მოთხოვნებს. ეს პროგრამა თავდაპირველად 4 წელზე იყო გადანაწილებული, თუმცა რადგან 3 წლიანი გახდა გარკვეული საგნების განსაზღვრა მოკლე დროში ვერ მოხერხდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მოსაზრებითაც დარგობრივ კადრებს საკმაოდ დიდი და პრაქტიკული მოღვაწეობის გამოცდილება აქვთ და თუ რაიმე აკლია სილაბუსს აუცილებლად შეივსება.
საბჭოს წევრი, ლევან შავაძე დაინტერესდა კრედიტების ხარჯზე პროგრამის გადათამაშებას თუ განიხილავდა დაწესებულება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღინიშნა, რომ პროგრამაში საგნები ისეა დაყოფილი, რომ უნივერსიტეტსაც ერგება და საკანონმდებლო მოთხოვნებსაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წიგნების საკითხი ნამდვილად დიდი პრობლემაა და ამ შემთხვევაში გამოსავალი არის უცხოენოვანი ლიტერატურა, ამიტომ დაწესებულებას აქვს გამომცემლობა სადაც ყველა პროგრამის წარმომადგენელს შეუძლია რიდერის, სტატიის თუ წიგნის დაბეჭდვა და გამოქვეყნება, აღნიშნულს კი უნივერსიტეტი აფინანსებს. რაც შეეხება 6 კრედიტიან საგნებს, ეს არის საუნივერსიტეტო პოლიტიკა, თუ ამ კრედიტების შეცვლის მიზეზი დასაბუთებული იქნება დაწესებულება თანახმაა შეცვალოს ის.
საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში არის 2 პრაქტიკა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ხორციელდება. მას აინტერესებდა როგორ ხორციელდებოდა აღნიშნული.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძირითადად პრაქტიკები ხდება ზაფხულის პერიოდში, თუმცა დაწესებულებამ ჩათვალა საჭიროდ, რომ მთელი წლის განმავლობაში უნდა იყსო სტუდენტი ჩართული პრაქტიკებში, რადგან სრულად ნახოს პროცესი. ერთი დღე გამოიყოფა კვირაში, მაგალითად შაბათი და უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების ტრანსპორტირებას.
საბჭოს წევრმა ლევან შავაძემ აღნიშნა, რომ სილაბუსში მითითებულია, რომ ხელმძღვანელი აძლევს სტუდენტს დავალებას პრაქტიკის დროს, შესაბამისად ის დაინტერესდა, სტუდენტები სხვადასხვა სამუშაოებს შეასრულებდნენ თუ ერთს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რადგან უკვე საკუთარი ვენახი აქვს დაწესებულებას, სადაც პრაქტიკები განხორციელდება, იქ ყველა ერთ დავალებას შეასრულებს ან სხვადასხვას, ხელმძღვანელის მითითების მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარე, ლევან შავაძე დაინტერესდა, ვაზის ნაყენების წარმოებას თუ ისწავლის სტუდენტი პროგრამის ფარგლებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თუ დაწესებულების ტექნიკურ ბაზაზე მოხერხდება ამის გაკეთება და უნივერსიტეტიც დაეხმარება მატერიალურად პროგრამას, რა თქმა უნდა, ეს საკითხიც განხორციელდება, თუმცა თუ დაწესებულების ფარგლებში ვერ მოხდა აღნიშნული სტუდენტს, მემორანდუმების ფარგლებში მინიმუმ სასწავლო ტურის შესაძლებლობა მაინც ექნება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:21
დასრულების დრო: 13:35
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მევენახეობის და მეღვინეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2032 წლის 31 დეკემბრამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6} მუხლ ის პირველი პუნქტის „$ბ^{1}$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მევენახეობის და მეღვინეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2032 წლის 31 დეკემბრამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მევენახეობის და მეღვინეობის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2032 წლის 31 დეკემბრამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2} მუხლის

პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ^1“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მევენახეობის და მეღვინეობის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2032 წლის 31 დეკემბრამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები, თუმცა დამატებით სტანდარტის 1.2. კომპონენტთან დაამატა კლსტერული რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, გადაიხედოს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა", შესაბამისად ორივე საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით სტანდარტის 1.2 კომპონენტი, ნაცვლად, "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", განისაზღვრა, როგორც, "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". აღნიშნული შეფასების ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია პირველი სტანდარტის საერთო შეფასებაზე.

დაწესებულებას დაევალა, სხდომის ოქმში და ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულება.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 13:40 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე